მუნიციპალური სამართლებრივ-ეკონომიკური სისტემის სტრატეგიის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები

ვალერიან გორგოძე
სტუ-ს დოქტორანტი
ლაშა-გიორგი დათაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: shisou92@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში მოყვანილია განვითარების სტრატეგიის ფორმირების თეორიული ასპექტების სისტემური ანალიზი, ახსნილია არსი, განსაზღვრულია ცნებები, მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სტრატეგიული განვითარების ფაქტორები და პრინციპები, ასევე მათი დღევანდელი განვითარების მაჩვენებლები.

საკვანძო სიტყვები: სამართლებრივი, ეკონომიკური, მუნიციპალური, სტრატეგიული, ელემენტები, სოციალური, სისტემა.

სამამულო და უცხოურ ლიტერატურაში მუნიციპალური ეკონომიკური სისტემები განიხილება სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომების პოზიციიდან. საერთოეკონომიკური მიდგომის თვალსაზრისით, მუნიციპალური წარმონაქმნი წარმოადგენს ეროვნული მეურნეობის ტერიტორიული სისტემის შემადგენელ ნაწილს და მის პირველად რგოლს. აუცილებელია, მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პრობლემების კვლევა განხორციელდეს სისტემურ-ევოლუციური მიდგომის გამოყენებით.

ყველა მოვლენა განიხილება არა განყენებულად, არამედ როგორც უფრო ფართო სისტემის ნაწილად, საიდანაც გამომდინარეობს სისტემური პარადიგმა. სისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მუნიციპალური ეკონომიკური სისტემა, როგორც რთული წარმონაქმნი, რომელიც ლოკალიზებულია განსაზღვრულ ტერიტორიაზე და წარმოადგენს რეგიონული და ეროვნული ეკონომიკური სისტემების ქვესისტემას. სისტემაში შემავალი ელემენტების ანალიზი და მათი ურთიერთკავშირი საშუალებას იძლევა მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის არსის ფორმირების, როგორც რთული მექანიზმისა, თავისი წარმოქმნის თავისებურებით და სტრუქტურით. მუნიციპალური ეკონომიკური სისტემა საერთოსისტემური და სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება.

სოციალური ურთიერთობები დაკავშირებულია სოციალური ობიექტების არსებობასთან სისტემის ელემენტებში. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება დაფუძნებულია მატერიალური და არამატერიალური სარგებლის მიღებაზე სისტემის რესურსებზე ზემოქმედების გზით.

ჩვენ მუნიციპალურ სისტემას მივაკუთვნებთ მართვის სისტემების დიდ და ზერთულ კლასს, ვინაიდან მას წარმოქმნის მრავალი შემადგენელი ელემენტი. ასეთი სისტემა განისაზღვრება საერთო ელემენტებით, ასევე გააჩნია რამდენიმე განმასხვავებელი თავისებურება, როგორიცაა:

1) ურთიერთკავშირში მყოფი ელემენტების დიდი რაოდენობა, რომლებიც ზემოქმედებენ ერთმანეთის ფუნქციონირებაზე და მთლიანად სისტემაზეც;

2) მუნიციპალური სისტემა, ისევე როგორც მისი შემადგენელი ელემენტები, უმეტესად არიან მრავალფუნქციურები;

3) ელემენტების სისტემური ურთიერთკავშირი ყველაზე ხშირად ხორციელდება რესურსების, ენერგიის და ა.შ. გაცვლის არხებით;

4) სისტემაში ყოველთვის არის ფუნქციონირების საერთო მიზანი, საერთო დანიშნულება. იგი განსაზღვრავს სისტემის ერთობლიობასა და მის სირთულეს, რომელიც აისახება მისი შემადგენელი ელემენტების მრავალფეროვნებით;

5) სისტემის კავშირები და შემადგენლობა მუდმივად იცვლება, ახლდება მისი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სწრაფ ადაპტაციას ფუნქციონირების პირობებისადმი, ასევე მისი ფუნქციონირების მრავალრეჟიმიან ხასიათს;

6) ყველაზე ხშირად სისტემის ელემენტებს შორის, ასევე მათ გარე სამყაროსთან უერთიერთქმედებას სტოქასთიკური ხასიათი აქვს.

7) სისტემის ფუნქციების დიდი ნაწილი სრულდება ავტომატურად, დანარჩენი ამოცანები ხორციელდება კონკრეტულად გადაწყვეტილების მიღების სუბიექტის – ადამიანის მხრიდან;

8) სისტემის მართვას ყველაზე ხშირად აქვს იერარქიული ხასიათი, რომელიც ითვალისწინებს

სისტემის ცენტრალიზებული მართვის და ავტონომიური მართვის შერწყმას.

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს არაკომერციულ სისტემებთან მიკუთვნება. ასეთი მდგომარეობა განისაზღვრება სტრატეგიული განვითარებით, რომელიც ჩვეულებრივ არ უკავშირდება ფულადი ნაკადის ზრდის პერსპექტივას, რაც შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ კომერციულ ორგანიზაციებს.

მუნიციპალური ერთეულის მოსახლეობის მთავარი მიზანია მოაწყოს თავისი ტერიტორია, შექმნას სასიკეთო საცხოვრებელი პირობები არა მხოლოდ თავისთვის, არამედ მომავალი თაობებისთვის, გადაწყვიტოს საერთო პრობლემები საკუთარი კორპორატიული ინტერესების დაკმაყოფილებისათვის.

მუნიციპალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემა მოიცავს ადამიანის და ბუნების მიერ შექმნილ მრავალ ქვესისტემას. ავტორის აზრით, მუნიციპალური ეკონომიკური სისტემა მიეკუთვნება ხელოვნურ ანუ ადამიანის მიერ შექმნილ და მართულ სისტემას. მოცემულ სისტემაში ადამიანები წარმოადგენენ მთავარ განმსაზღვრელ კომპონენტს.

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემები წარმოადგენენ გახსნილ სისტემებს. მათ აქვთ საშუალება თავისუფლად გაცვალონ ყველა ხელმისაწვდომი რესურსი და პროდუქტი სხვა სისტემებთან. თუ ვსაუბრობთ ღია მუნიციპალურ ეკონომიკურ სისტემებზე, აუცილებელია გაკეთდეს აქცენტი იმაზე, რომ ყველა მათგანს გააჩნია კონკრეტული საზღვრები, რომლებიც წარმოადგენენ ამ სისტემის მართვის ზემოქმედების ზღვარს. წარმოდგენილმა მეთოდოლოგიურმა მიდგომებმა მისცეს საშუალება ავტორს ჩამოეყალიბებინა მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესების კონცეპტუალური მოდელი.

ევოლუციური პარადიგმა საშუალებას იძლევა შევისწავლოთ მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განვითარების ხარისხობრივი ევოლუცია, ასევე თავი დავაღწიოთ მისი სტაბილურობის აბსოლუტიზაციას. იგი გამომდინარეობს იქიდან, რომ ყოველ სისტემას, რომელიც იმყოფება გარე „მამოძრავებელი ძალების" ზემოქმედების ქვეშ, აქვს თვისება მუდმივად ცვალოს თავისი სისტემური ხარისხი და სუბსტანციური არსი.

მოცემული მეთოდოლოგიური მიდგომები საშუალებას იძლევიან ჩამოყალიბდეს კონცეპტუალური მოდელი, ეკონომიკური პრობლემების სისტემურ-ევოლუციური კვლევები და თეორიული შეცნობის ეტაპები.

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სტრატეგიული განვითარების განხილვისას, დგება არჩეული ან მომავალი სტრუქტურული მოდელის განხორციელების, ასევე დასახული მიზნების ობიექტურობის საკითხი. ვთვლით საჭიროთ სისტემური ანალიზის პოზიციიდან განვიხილოთ მიმდინარე პრობლემის გარკვეული ასპექტები.

სისტემური ანალიზის თვალსაზრისით, შეგვიძლია განვიხილოთ მუნიციპალური ეკონომიკური სისტემების სხვადასხვა ელემენტების ურთიერთკავშირი. აქ იხსნება უამრავი მთელი და შინაგანი ნაწილის ძიების საშუალება, კვლევის ამა თუ იმ პირობის შესაბამისად. აქედან წარმოიქმნება სისტემური მიდგომის მრავალმხრივობა, მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა ქვესისტემის ნაკრების სახით განხილვის შესაძლებლობა.

ქვესისტემა წარმოადგენს სისტემის ელემენტების ერთობლიობას. ამასთან, თითოეულ რთულ სისტემას შეუძლია როგორც სხვადასხვა ხარისხის ქვესისტემების გაერთიანება, ასევე თვითონაც შეიძლება იყოს უფრო მაღალი სისტემის ქვესისტემა. ეს თვისება განსაზღვრავს მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის იერარქიულობას და ნიშნავს, რომ მისი ელემენტი, თავის მხრივ, შეიძლება იყოს განხილული, როგორც ერთიანი სისტემა, რომლის ელემენტებიც შეიძლება წარმოდგენილნი იყონ, როგორც სისტემები.

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტების კვლევა გვაძლევს საშუალება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მიმდინარე სისტემის შეცვლა წარმოადგენს მის ელემენტებს შორის რთულ პროცესს მიკრო-, მეზო- და მაკროეკონომიკურ დონეზე.

სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, რომლებსაც მიეკუთვნება მუნიციპალური ოლქი, მიზნის მიღწევის დასახვა და რეალიზაცია ხორციელდება ამ პროცესის სუბიექტის – ადამიანის მხრიდან. მართვის ობიექტს წარმოადგენს საკუთრივ სამეურნეო სისტემა, მისი საწარმოო, ტექნიკური, ფინანსური, რესურსული და სხვა ქვესისტემები და ურთიერთობები. სამეურნეო სუბიექტის სისტემური ბუნება განსაზღვრავს მის საწარმოო სტრუქტურას, როგორც მოცემული ტერიტორიულ-ეკონომიკური სისტემის მიზნების რეალიზაციის ინსტრუმენტს. სამეურნეო სისტემა განზღვრავს თავის სტრატეგიულ მიზმებს და მასთან მიმართებაში ახდენს თავის შინაგან ორგანიზებას, რომელიც წარმოადგენს ამ მიზნების მიღწევის საშუალებას.

მოცემული პროცესი ხორციელდება ყველა სივრცით დონზე, და შესაბამისად, ყოველი სისტე-

მა განიხილავს საკუთარ, შინაგან, შიდასისტემურ სფეროს, რომლის გარდაქმნასაც ცდილობს ეს სისტემა. ყველა სისტემა, თავისი დანიშნულებით, ცდილობს შეინარჩუნოს და გააძლიეროს თავისი სისტემური ხასიათი. ამ ხასიათის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს მთლიანობის თვისება. ამ თვისების შენარჩუნება გამოიხატება სისტემის საკუთარი მიზნების დომინირებისკენ მისწრაფებაში, როგორც მთლიანობის შენარჩუნების პირობა. ამრიგად, ნებისმიერ რთულ, იერარქიულად ორგანიზებულ სისტემაში, რომელსაც ეკონომიკა განეკუთვნება, ყველა დონის სისტემებს შორის ყოველთვის იქნება ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც გამოწვეულია მასში შემავალი ობიექტების სისტემურობით. სტრუქტურული პრიორიტეტების რეალიზაციის შესაძლებლობები განისაზღვება იმით, თუ სისტემათა შორის რომელი ფლობს გარემოს კონტროლის მეტ შესაძლებლობას.

სისტემის სტრუქტურა – არის მისი შემადგენელი ქვესისტემების, ელემენტების ერთობლიობა და კავშირები მათ შორის.

ყოველი სისტემა უკეთებს ორგანიზებას თავის შინაგან სტრუქტურას, როგორც დასახული მიზნის მიღწევის მექანიზმს, ამიტომ განსაზღვრავს ტერიტორიის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებისა და შინაარსის პროგრამებს. ამისთვის აუცილებელია იმ შიდა და გარე პირობების გაანალიზება, რომელშიც იმყოფება სისტემა და განისაზღვროს როგორ შეიძლება განვითარდეს სიტუაცია მომავალში. შეიძლება დავასკვნათ, რომ სისტემის მიზნები წარმოადგენს განსაზღვრულ სტრუქტურული ცვლილებების პროგრამულ მოქმედებებს, რომლებიც განისაზღვება შემდეგი ფაქტორებით:

– სისტემის შესაძლებლობა იმუშაოს მიზნების განსაზღვრასა და დასახვაზე ანუ სისტემის სტრატეგიულ პოტენციალზე;

– გარე და შიდა ფაქტორების შესახებ სისტემისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაოდენობასა და ხარისხზე. ამასთან, სისტემაში გარედან შემოდენილი ინფორმაცია იძლევა წარმოდგენას არა მარტო გარე ფაქტორებზე, არამედ უშუალოდ ზემოქმედებს სუბიექტის შესაძლებლობაზე მოახდინოს სხვადასხვა სტრუქტურული სტრატეგიების გენერირება.

აქედან გამომდინარეობს, რომ სხვადასხვა სივრცული დონის ეკონომიკური სისტემები წარმოადგენენ ერთდროულად ობიეტსაც, რომლებიც ახდენენ საკუთარი მიზნების რეალიზაციას და ასევე შიდა გარემოს დაბალი დონის სისტემებისთვის.

მაგალითზე ამისი დემონსტრირება შესაძლებელია შემდეგნაირად: მუნიციპალური ეკონომიკური სისტემისთვის რეგიონის ეკონომიკა წარმოადგენს როგორც გარე სფეროს, ისეთს, როგორიცაა „საქალაქო ოლქი", ასევე სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს შიდა სფეროში – „ეროვნული ეკონომიკის" სისტემაში.

მსოფლიო მეურნეობა წარმოადგენს გარე სფეროს ყველა უფრო დაბალი დონის სისტემისთვის, მაგ. ისეთებისთვის, როგორებიცაა რეგიონული ქვესისტემების,მუნიციპალური ქვესისტემების და სამეურნეო სუბიექტების „ეროვნული ეკონომიკა".

ეკონომიკური სისტემების შიდა და გარე დონის მოცემული მრავალდონიანი ორგანიზაცია უშუალოდ ზემოქმედებს მუნიციპალური და სხვა ეკონომიკური სისტემების სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციაზე.

არსებობს ეკონომიკური სისტემის შიდა გარემოს განმსაზღვრელი რამდენიმე მიზეზი:

1) ყოველი სისტემა ცდილობს დაამყაროს მაქსიმალური კონტროლი მასში მიმდინარე ყველა პროცესსა და ობიექტზე;

2) სისტემის მატერიალური გარემოს კონტროლისა და ამოცანების შედეგს წარმოადგენს კონტროლირებადი გარემოს ფორმირება, ანუ მატერიალური სტრუქტურის და მასთან დაკავშირებული მომდინარე რესურსების შექმნისას, მართვის სუბიექტი ასევე ქმნის გარკვეულ ინფორმაციას გარემოს მდგომარეობაზე. ეს არ არის მიზანმიმართული პროცესი, ის მიმდინარეობს ავტომატურად, სისტემის „სურვილისგან" დამოუკიდებლად.

ამრიგად, მუნიციპალური ეკონომიკა თავის შიგნით გარკვეულ გარემოს ქმნის, რომელიც წარმოადგენს მისი მიზნების დასახვისა და რეალიზაციის შედეგს, რადგან ფუნქციონირებს, როგორც რთული ღია დინამიური სისტემა.

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად მუნიციპალური ეკონომიკური სისტემა ფორიმირდება და ამასთან ერთად, მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მისი შიდა პროცესები, ისეთები, როგორებიცაა საწარმოო და მართვის ნაკადების ურთიერთობათა სისტემა. სიტყვა „სისტემის" განმარტება გარკვეული გნოსეოლოგიურ ჩარჩოდ გადაიქცა, რომელიც კვლევის მრავალდონიან პროგრამას იძლევა და რომელიც გვეხმარება სხვადასხვა დონის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების პარამეტრების ურთიერთქმედებისა და ურთიერთზემოქმედებისთვის თვალის მიდევნებაში.

გარე სფეროს ანალიზის გატარებით მარ-

თვის სუბიექტი განსაზღვრავს განვითარების ეფექტური სტრატეგიის შემუშავების შესაძლო მიმართულებებს ანუ ფაქტობრივად წარმოადგენს მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირების წყაროს. თუ დავუშვებთ, რომ მმართველობითი სუბიექტის მიერ ამ თუ იმ გადაწყვეტილებების მიღება არის შედეგი სისტემის „შესვლა-გამოსვლის" ხაზით ეფექტური მუშაობის შეფასებისა, მდგომარეობა, რომელსაც ეროვნული ეკონომიკა იძლევა, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „ეროვნულ ეკონომიკაზე დამოკიდებული სისტემებისა და ობიექტების შეფასებისა და მოქმედების განმსაზღვრელი კოორდინაციული სისტემა".

შეიძლება ავღნიშნოთ, რომ მაკროსისტემის შიდა მდგომარეობას განსაზღვრავს მასში შემავალი ქვესისტემების შეფასების პარამეტრები და მიზნების კრიტერიუმები, რომლებიც ამ პარამეტრებს ქმნიან. ამდენად, სისტემა ქმნის მასში შემავალი ქვესისტემების ხარისხიან მონაცემებს.

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის წარმოქმნა წარმოდგენს განივითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც ქმნის ყველა დონის ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ახალ პირობებსა და შესაძლებლობებს. ამავდროულად, უმაღლესი დონის სისტემის მიერ შიდა სფეროს ფორმირება არ ნიშნავს საშუალო და უფრო დაბალი დონეების შიდა სფეროს სრულ პროგრამირებას. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მრავალი მიზეზის გამო ეკონომიკურ სისტემებში შეუძლებელია ყველა პროცესისა და ობიექტის გაკონტროლება. ამასთან თავის მხრივ, ნებისმიერ დონეზე სისტემის მოქმედება დამოკიდებულია მაში შემავალი ქვესისტემების მდგომარეობაზე, ანუ, მისი ტრაექტორია არსებითად დამოკიდებულია სისტემასა და ქვესისტემას შორის უკუკავშირის ფუნქციონირების ლოგიკასთან. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური ქვესისტემები დამოუკიდებლად ახდენენ საკუთარი შიდა გარემოს ფორმირებას, როგორც რეგიონალური, ისე ეროვნული მეურნეობის თვალსაზრისით.

მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მეორე მთავარ ასპექტს წარმოადგენს მრავალსუბიექტურობა. როგორც რთული სისტემისთვის, მისთვის დამახასიათებელია გადაწყვეტილების მიმდებ სუბიექტთა სიმრავლე. საქალაქო ოლქის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის უშუალო პროცესს ჩვენ გავაანალიზებთ ყოველი ქვესისტემის მიმართ, განსახილველი სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ნებისმიერი სისტემისთვის, მათ შორის საქალაქო ოლქისთვისაც, განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს, არსებული რესურსების გამოყენების მხრივ, მის მიერ გადაწყვეტილების მიღება და რაც მთავარია, სისტემისთვის დამატებითი რესურსების ქონის საშუალება. თავისი იერარქიული დონის ჩარჩოებიდან გასვლით, გადაწყვეტილების მიმდებ სუბიექტს აქვს საშუალებას აითვისოს და გამოიყენოს სტრატეგიული განვითარების სხვა მოდელები, შიდა გარემოს სხვა ფორმები და ამით გააფართოვოს ან შეცვალოს თავისი მდგომარეობა და მიიღოს ფუნქციონირების საუკეთესო შედეგები.

ამრიგად, მუნიციპალური ეკონომიკური სისტემის ქვესისტემების პოტენციალი, რომ შეასრულონ მმართველობითი სუბიექტის როლი, განისაზღვრებიან და შემოიფარგლებიან მათი შესაძლებლობით აღიქვან და ანალიზი გაუკეთონ გარედან შემოსულ ინფორმაციას.

ТЕОРЕТИЧЕСКИЕ-МЕТОДОЛОГИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ СТРАТЕГИИ МУНИЦИПАЛЬНОЙ ПРАВОВОЙ-ЭКОНОМИЧЕСКОЙ СИСТЕМЫ

ВАЛЕРИАН ГОРГОДЗЕ
Докторант ГТУ
ЛАША-ГИОРГИ ДАТАШВИЛИ
Докторант ГТУ
E-mail: shisou92@gmail.com

Резюме

В статье проводится системный анализ теоретических аспектов формирования стратегии развития, раскрывается сущность, определяются понятия, факторы и принципы стратегического развития муниципальных экономических систем, а также особенности их современного развития.